


5 ჩემი 23, 11




№ 5 (-241) შპსი 10. კვ. კვირა, 2 თებერვალი 1930 წ. წელიწადი მეფვიდე.



12 546

როს მოწყობა კოლექტივის ღარიბებმა განზრანეს, კულაკები შხამს ანიხევედენ და უგებდენ ყველგან მახეს. გაიარა კოლექტივი, ტრაქტორები მტერს სკრის თვალდებს კულაკებმაც მიაშურეს, — მაგრამ ვინღა მიიკარებს!





ვერ მოვიჭრითა მე გლეხი პურ-მაროლით და ღვინითა, მაგრად ამოშტხო პანლური დაჯრჩი დამთხვეულ ტვინითა.

## შონს ვერ გავიღა

კოლა ზაუტაძის ოჯახი სოფ. კახინში ერთ-ერთ კულაკის ოჯახით ითვლებოდა.

კოლას მამა ივანე ყოფილი ბატონის ნაშთურადი გლეხი იყო და ბატონის ზნე-ჩვეულებანი საცემბით ქონდა წვთვიანებული.

მეზობელ გლეხებს ისე ეპყრობოდა, როგორც წინათ ბატონი.

სდევნიდა და ავიწროვებდა მათ.

თუ წინათ უმიწაწყლო გლეხები იძულებული იყვნენ ივანეს თავაშველებას დამორჩილებოდნენ, საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ მათი სიძულვილი ივანესადმი დღითიდღე იზრდებოდა.

სამაგიეროთ კოლა გლეხებთან შეწარმინებულ პოლიტიკას აწარმოებდა. თუ ივანე ვერ ახერხებდა საბჭოთა წყობილებასთან შეთვისებას, თუ კი ის კერძო საკუთრების შელახვას ვერ ახერხებდა და გლეხების ყველგაშუცილებულ მოვლენად მიაჩნდა, კოლას შეხედულებით საჭირო იყო ხელისუფლების წინაშე საბჭოთა წყობილებისადმი ერთგულების სახელის მოხვეჭა.

სოფელ კახინში კოლა თვალსაჩინო მირიანებას წარმოადგენდა, რომელსაც პირველ ხანებში გლეხობა ნდობით ეპყრობოდა და რომელიც ერთ დროს საბჭოს თავმჯდომარეთაც იყო არჩეული.

— ნუ თუ, მამა ჩემო, ვეღარ გაიგე, რომ ძალა ჩვენს მხარეზე აღარაა, ნუ თუ ვერ გაიგე, რომ საბჭოთა წყობილება მშრომელთა წყობილებაა. ჩვენ

კი არ ვშრომობთ და შენ კი ძველებურათ გინდა იცხოვრო... ეს არ შეიძლება, საჭიროა წითელი ფერის შეცხება, საჭიროა ძხილი: გაუმარჯოს საბჭოთა წყობილებას, გაუმარჯოს კომუნისტებს, გაუმარჯოს კოლექტივს. ისე კი რაც გინდა ის იყავი, გულში ხომ ვერაინ ჩაგხედავს... ასე უქადაგებდა კოლა ივანეს, რომელსაც შვილის აზრები ისე ხვდებოდა, როგორც კედელს ცერცვის კაკალი...

კოლას პარტიაში შიძრომაც უნდოდა. ამ მიზნით ის ტფილისში გადავიდა და ერთ-ერთ კომისარიატში პასუხისმგებელ ადგილზე მოთავსდა... მისდა სამწუხაროთ, პარტიაში შესვლა ვეღარ მოხერხდა. გამაზნდა ისეთი ხალხი, რომელმაც კოლას „ქბილები გაუსინჯა“ და აღმოაჩინა მასში კულაკური ელემენტი... მიუხედავად ამისა, კოლას ზოგი „პასუხისმგებელი“ პირი თავის კაცით სთვლიდა და დახმარებასაც უწყევდა.

კოლას მჭიდრო კავშირი ქონდა თავის ოჯახთან სოფელში, საიდან ხშირად ჩადიოდა და თან ჩაყავდა „პასუხისმგებელი“ ამხანაგები. სოფ. კახინშია დაარსდა კოლექტივი, რომელშიაც შევიდნენ დარბი გლეხები. კოლექტივი სოფლის კულაკებს მოსვენებას არ აძლევდა.

ივანესთან ხშირად იკრიბებოდნენ კულაკები და კოლექტივის საწინააღმდეგო ზომებს იმუშავებდნენ...

რომ ივანეს მიმართ გლეხების სიძულვილი შენელებულიყო, კოლამ კოლექტივის მეთაურებს ტფილისში

დახმარება გაუწია ტრაქტორის და სხვა იარაღების შექმნის საქმეში. მიუხედავად ამისა გლეხები მოითხოვდნენ სასტიკათ დასჯას კულაკების და მათ ზორის ივანეს, რომლებმაც კოლექტივის შენობას ცეცხლი წაუქიდეს...

ვის არ მიმართა კოლამ დახმარებისათვის, რომ ივანე გადაერჩინა სასჯელს და მისი მიწა-წყალი სოფელში ხელშეუხებელი ყოფილიყო, მაგრამ არ იქნა და არ მოხერხდა... მაშინ მან მიმართა ასეთ ორს:

დასწვრა ერთ-ერთ ვახუთის სახელზე შემდეგი შინაარსის წერილი:

„სოფ. კახინში მაქვს უძრავ - მოძრავი ქონება, სადაც სცხოვრობს ჩემი დედ-მამა, რომელთა თანხმობით შემოსხუნებული ქონება შემაქვს ადგილობრივ კოლექტივში და ამავე მიზნით ვიწვევ დაწინაურებულ მუშებს თომა ნებაძეს და გაბო აზრაძეს.“

როცა ეს წერილი რედაქტორმა წაიკითხა, უღვაწებში ჩაიღიმა და კოლას წერილი უკანვე დაუბრუნა.

— ცოტა დაგავფიანდათ, მოქალაქე, ჩვენი ბრიგადის ცნობის თანახმად, თქვენი ქონება კოლექტივის უკვე ჩაუბარებია. მამა თქვენი კი კულაკებთან ერთად, რომელთაც თავდასხმა მოუწყვიათ კოლექტივზე, სოფლიდან გამოუსტუმრებიათ. რაც შეეხება თომას ნებაძეს და გაბო აზრაძის გამოწვევას, მათი განცხადებები კოლექტივზე ქონების გადაცემის შესახებ უკვე იბუქდება ხელისიდელ ნომერში.

კოლა სახტათ დაჩაჩა...

ს. შამგარა.

# მშობლების პასუხი

მივღე, შვილო, შენი წერილი,  
(თარიღი აზის გასული კვირის).  
ყოველი გლეხი კოლექტივის ელტვის,  
მხოლოდ კულაკი ბრაზობს და ჰყვირის.

დღე ერთი არის და—უამრავი  
ჩვენში არსდება კოლექტივები,  
და კულაკების გასაცურავად  
უკვე მზადაა გვაქვს სოფლად ტივები.

კოლექტივების გარეშე ჩვენში  
არ დარჩენილა გლეხი არც ერთი.  
აწ გლეხებს ვეღარ მოგვატყუილებს  
ეკლესია და ხუცისი.

როგორც კი სოფლად გამოაცხადეს:  
„დავაარსოთო კოლექტივები“, —  
ისე შევერთდით მთელი გლეხობა,  
რომ ვერ გვისწრებდა დირექტივები.

ივანე, პეტრე, სეფე, მე, ტრიფონ,  
ვანო, გიორგი და მართა ქვრივი  
გავერთიანდით ერთ კოლექტივში,  
კოლექტივი გვაქვს მაგარი, მკვრივი...

და ასე მთელი ჩვენი სოფელი...  
მოვსპეთ საზღვრები, ღობე და თხრილი.  
ეზოში დადის კულაკი პარმენ  
ყურჩამოყრილი და თავდახრილი.

შეძრომა სცადა ჩვენს კოლექტივში,  
ამიტყველა თავისი ენა, —  
მაგრამ მოვაბით უესტი და, მგონი,  
სოფლიდან უწევს მთლად „გადაფრენა“...

ბევრი მთავრობა გამომივლია,  
(სამოცდასუთმეტს მივადგი ფეხი), —  
და კმაყოფილი, როგორც, დღეს არის,  
ჯერ არ ყოფილა მუშა და გლეხი.

მე ამ ამბებმა, კაცს მოხუცებულს,  
რომელიც ვიდექ ხამარის პირათ, —  
კვლავ დამიბრუნეს ძველი ძაღლონე  
და კვლავ გამხადეს ჯეულათ, გმირათ.

მე ვხედავ თვალწინ ახალ ცხოვრებას,  
თითქოს დედამა მე მშობა ახლა.  
სახე ეცვლება დღეს ჩვენს ცხოვრებას,  
ვაშა, ქვეყანა ვინც განაახლა.

ი. ხინვალი.

## „კოლექტივი“

სოფ. ტიკვეთში საშუალო და დარიბი გლეხობა  
კოლექტივებში გაერთიანდა.

კოლექტივის გარეშე მხოლოდ რამდენიმე კულაკი  
დარჩა.

ამათმაც სცადეს კოლექტივებში შეძრობა, მაგრამ  
კოვში ნაცარში ჩაუფარდათ.

— რა ვქნათ ებლა? ასე დარჩენა შეუძლებელია! —  
ამბობდა საიდუმლო კრებაზე კულაკი კოლა.

— რა ვქნათ და... რა ვქნათ და... აღარ ვიცი რა  
ვქნათ! — ხელს აწნევდა კულაკი ექვთიმე.

— ნუ თუ გამოსავალი არ არის! — იკითხა სასოწარ-  
კვეთილებით კულაკმა ტიტემ.

— არის! არის! — დაიყვირა სიხარულისაგან კულა-  
კმა ვიქტორმა. — ჩვენც დავაარსოთ კოლექტივი; ჩვენც  
გავერთიანდეთ კოლექტივში! — და ჩუმად დაიწყო ჩუ-  
რჩული.

— კარგი აზრია! დიდებულო! — დაეთანხმა სამივე.  
მესამე დღეს მათ მამულს ასეთი წარწერა ამშვენ-  
ებდა:



— ვინ რას იტყვებს?! ნამდვილი კოლექტივა! ხელს  
ფერავინ გვახლებს! — ამბობდნენ „კოლექტივის“ წევრები.

გლეხებს უკვირდათ.  
მაგრამ ერთ მშენიერ დღეს (როგორც ასეთ შემთხ-  
ვევაში უტყვიან ხოლმე) „კოლექტივის“ კომკავშირის წი-  
ნამძღოლობით ესტუმრა „არასასიამოვნო“ სტუმარი —  
ადგილობრივი ხელისუფლება.  
— არა, ეს კოლექტივის არ ნიშნავს; — ეს ჩვენი სა-  
ხელების პირველი ასოებია:

## კოლექტივი ტიპში ბორი



მაგრამ ასეთმა თავისმართლებამ მათ მაინც ვერ უშ-  
ველა და „კოლექტივის“ წევრები გზას გაუდგან... გამ-  
სახლისაკენ.

ახელი.

**უამღებო ნომერი**  
სპეციალური —  
**თეატრალური**  
— ნომერია

# ჩვენ ბრიტანია



## სიონის კოლექტივიზმი


— გამარჯობათ კოლექტივის წევრებო, როგორ ხართ, ღარიბებო?

— ღარიბიც ხარ და ლატაკიც! აქ ღარიბი და მოჯამავირე არ გვირეცია, ყველა ჩვენთანაა, შეძლებულები გახლავართ.

— ეს როგორ? კოლექტივში თავი კულაკებმა მოიყარეთ?

— კულაკიც ხარ და ჟოაკიც! აქ მარტო შეძლებული გლეხები ვართ, გამგეობაც ჩვენი, სარევიზიო კომისიაც. წევრები ჩვენ ვართ თითონ... ვაჭრებიც არიან.

— კი მაგრამ პარტკომმა, აღმასკომმა, საბჭომ და სხვებმა როგორ დაუშვეს კულაკებ - ვაჭრების კოლექტივის შექმნა, აჰ?



— ს-ს-ს-ს! ნუ ყვირით, თორემ გაიღვიძებენ.

— როგორ?

— როგორ და აქ პარტკომსაც სძინავს, აღმასკომსაც, და საბჭოსაც...

## გულმავიწყობა

იყო და... ასლაც არის: გორის ოლქში არის. ერთი სახელოსნო, რომელმაც უნდა შეაერთოს სამეურნეო იარაღ-მანქანები. სახელოსნოს მოწყობა დაიწყო სოფლის კავშირმა.

მაგრამ, რა ცოლია თურმე აოლმავიწყობა: სოფლის კავშირმა სახელოსნოს მოწყობა დაიწყო, მაგრამ მისი დამთავრება „ქე“ დაავიწყდა. დაავიწყდა აშკარად: ეს სახელოსნო გასულ შემოდგომის თესვისთვის უნდა ყოფილიყო მზად, მაგრამ ახლაც სახაზე-როდ არ არის მოთავებული.

თუ ვინმეს სოფლის კავშირისაკენ გზა დაეპოვეს, შეიპოვეთ შიგ და გაახსენეთ ამ სახელოსნოს დამთავრება, თორემ...

რაღა თორემ, თესვა კარზეა.

ჰაი გულმავიწყობავ! რაღა მინცა-დამინც სოფლის კავშირის ესტუმრე ამ გახურებული მუშაობის დროს!

ხაფანგი.

## „რეკომენდატორი“ პარტი-ულავი

გომში (სოფელია გორში) კოლექტივი არსდება. ამით კულაკებს გული უსკდება: „ვაი ამ საათს, ამ მოგონებას, ნეტა ვინ ართმევს გლეხებს გონებას, რომ აკეთებენ კოლექტივს მთლიანს და აძევებენ კულაკს მადლიანს!“

ისევ უშველოს პარტიის წევრებს: ალ. ელბაჩიძეს ვუკოცნით წევრებს და მეორესაც — გიორგი ჯიშვილს მე უსათუოდ მოუნათლავ შეიღოს, რადგანაც ორი ეს კომუნისტი არის იმდენათ „დობრი“ და „ჩესტნი“, რომ კულაკ-ვაჭარს ვინმე კალაძეს ატესტაცია ასე უბოძეს: „კალაძე ესე არის, როგორაც ჩვენ დავსწერეთ — კაცი კეთილი, პატიოსანი, ეგ უნდა გახდეს არტელის წევრი“.

ასე შეიტკბეს ამ პარტწევრებმა კულაკ კალაძის ელემენტობა და მომავალში, როგორ ეტყობა, მათ მოუხდებათ თუ არ ეწყინათ, პარტიის გარეთ მონახონ ბინა.

ხიშტი.

## კულაკები გულთ.

წითლო წყაროს შეიკრიბა ღარიბ გლეხთა კრება. მათ უნდოდათ კოლექტივის ჩამოყალიბება.

შეიყარენ კოლოიბიც მოიტანეს ღვინო.

სთქვეს: „დავართოთ ეს გლეხები, აქვე დავძინ“.

დავავიწყეთ კოლექტივი ჩვენ დაგვიჩიბა ბურთი“... სხვის გლეხებმა აღღერძელეს იმათ ერთი—ურთი.

შემდეგ კრებაც შეაყენეს ენა გაიქლიბეს

და სოფელი კოლექტივში ჩამოაყალიბეს.

კულაკებს კი... წამოჰკიდეს ცალიერი გულა

და უბრძანეს: „ამ სოფლიდან აიბარეთ უნდა“

კომბალი.

## ლვარკლი

კულაკების თავხედობა იქამდე მიდის, რომ ისინი საქონელს ანადგურებენ



დაეკალი ხარი ნიკორა ავა შიშინე მწვადია, კოლექტივისთვის რადგანაც მე ხელის შეშლა მწვადია.

მეწადა ასე, მე მაგრამ თონს მინც ველარ გაველი, წაიღეს ჩემი ქონება არ დამჩრა მიწა მტკაველი.


# ქალი ალიმენტით

მოკლე კაბა შევიკერე  
 მუხლებამდე მწვედებო,  
 ტუჩი კრასკით შევიფერე,  
 პულრიც ქე მიხდებო.  
 სიყვარულში ბევრი დავწვი  
 ორასამდე მეტი,  
 ცხრა ქმარი გამოვიცვალე  
 მზიბლავს ალიმენტი.  
 ერთი იყო ტრესტის გამგე  
 ფული ქონდა ბევრი,  
 როცა ადგილიდან მოხსნეს  
 მაშინ დაუძვერი.  
 მეორე კი ბუხალტერი  
 და მესამე სპეცი,  
 მე სხვებთან დროს ვატარებ  
 დო,

რას ხვდებოდა ბეცი.  
 მეოთხეს ხომ სალაროდან  
 სახაზინო ფული  
 ათასობით ვაზიდვინებ.  
 მოვიჯერე გული.  
 მებუთეზე მოგახსენოთ  
 ცოტა იყო კოჭლი,  
 არ მომწონდა, რადგან სახეს  
 უფარავდა ქორფლი.  
 მეექვსესა და მეშვიდეს  
 ვცანცვლე ალიმენტი,  
 გვერდი როცა აოქციებ.  
 თავს დაეასხი რეტი.  
 მეროი ახალგაზრდა იყო  
 ლამაზი და კობტა,  
 მაგრამ ისიც ვერ იცემ  
 ცხრაში ისიც მოხვდა.

# გალმა გადაგება

გერმანიაში დამშულებმა მოაწყვეს  
 მასიური დემონსტრაცია, რომელიც  
 გარეკა პოლიციამ



უფუშლდერი (პოლიციელი სოც.-დემოკ.): — შმ! მშვიდები!... თქვენ  
 რა მშვიდები ხართ? თავს გვესხმით!

მეცხრე ქმარი ვადვიკიდე  
 იყო ჭირვეული,  
 ფეხს არსად მადგმევიინებდა  
 ტიალი—წყეული.

ებლა სულ სხვებზე მივირავს  
 გამოცდილი თვალი,  
 თუ ოც ქმრამდე არ ავიდა,  
 არ ვყოფილვარ ქალი.  
 მანი.

# ინგლისი ინდოეთში



ინგლისელი: — ეს რა ამბავია! ამ უკანასკნელ  
 ხანებში ძალიან გახშირდა ჩვენს ინდოეთში მიწისძვრა.

# თანამედროვე ანდაზები

- ◆ გამფლანგველი საკანში ჩასვებს და თავი მოიმიძი-  
 ნარა — ვეცხ სიზმარი იყოსო.
- ◆ კოლექტივის გადაქციდე კულაკებს თავები ოხ-  
 რად დარჩებაო.
- ◆ ქურდმა სიზმარში გამსახლი ნახა და მეორე  
 დღეს შიგ ამოყო თავი.
- ◆ ვაჭარს გვერდში კოოპერატივი გაუღეს და გა-  
 ხარებულმა დაიძახა: მაღლობა ღმერთს შორიდან აღარ  
 დამჭირდება საქონლის მოტანაო.
- პროტექციით ნაშონ სამსახურის დაკარგვა ნუ  
 გეწყინებო.
- გასათხოვარი სამჭროების ძებნა - ძებნაში გაუთ-  
 ხოვარი დარჩაო.
- ◆ გამგის გადაკიდებას უმუშევრად ყოფნა გერ-  
 ჩიოსო.
- ◆ ვაჭრებისათვის ქამის მადის დაკარგვა, ფინაგენ-  
 ტის ბრალიაო.
- ◆ გლწინდელ ლობიოს დღევანდელი ქათმის ჩიბა-  
 რთმა მიორჩენიაო.
- ◆ ლოთი კვდებოდა და იძახოდა: ერთი დათრობა  
 მაინც მომესწროვო.
- ◆ ზოგი ქალი გაუთხოვრობას სტირის, ზოგი კი  
 გათხოვლობასო.
- ◆ მენშევიკმა ჭკუა დაკარგა და ჩეკამ მოუწახლაო.
- ◆ მგზავრმა ფიზკულტურა არ იცოდა და კონდლქ-  
 ტორებმა შეასწავლაო.

კირილე საფიჩიხილო

# გ ა უ ბ მ ბ რ ო ბ ა (გადმოკეთებულია)

ფინანსთა მინისტრი ძვირფას სავაჭურში იჯდა და მაგიდაზე წამოხრილი ბლოკნოტში ჩაწერილ ციფრებს ჩასცქეროდა.

ამ დროს კაბინეტში პირადი მდივანი შემოვიდა და მის ბრწყინვალეობას ორი საღარბაზო ბარათი მიჰწოდა.

— თქვენს სანახავათ მოვიდენ... გთხოვენ... ერთი მთვანი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების დემბათა სააგენტოდან არის, მეორე კი მოსკოვის რომელიღაც გაზეთის წარმომადგენელი უნდა იყოს.

მინისტრმა რამდენჯერმე შეატრიალა საღარბაზო ბარათი, გადაიკითხა სტუმრების მისამართი და მდივანს მიმართა:

— შემოვიდენ... პირველად საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს დაუძახეთ...

მის წინ წითური სახის, ქერა თმიანი და უღელავი გაპარსული უცნობი გაჩნდა.

— მე მინდა რამდენიმე კითხვა მოგახსენოთ ვალეების შესახებ...

— როგორ თამამათ მოდის ეს ვიჩის თავი! კითხვებსაც კი იძლევა? რა კითხვა, დააწყვე ფეშქვ - ფარები და შეაყოლე შენს სადათვეთში! — გაიფიქრა გულში მინისტრმა და უმოსლულს თავაზიანათ უპასუხა:

— ბაძანეთ!  
— რას ფიქრობთ თქვენ... დიად... იმის გადახდის შესახებ.

— რა უნდა ვიფიქრო. ფიქრი ზედმეტია და დღესათვის ნათელია, რომ ვალი გადახდილი უნდა იქნეს. თქვენ კი ამბავ სულაც არ ფიქრობთ.

ქერა კაბუჯის სიამოვნების ღიმილმა გადაჰკრა.

— რას ბრძანებთ, ბატონო მინისტრო. მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ უნდა გადახდილი იქნეს, მაგრამ როდის... ეს არის უმთავრესი საკითხი.

მინისტრსაც სიამოვნების ღიმილმა გადაჰკრა.

— მით უკეთესი, რაც ჩქარა იქნება...

„კორესპონდენტს“ უფრო მეტი სიამოვნება დაეტყო.

— ზედმიწევნით სწორი აზრია. სრული ჭეშმარიტებაა.

— ნეტავ რა ახარებს, რომ იღიმება!

— გაიფიქრა მინისტრმა: სიმპატიური პიროვნება კი უნდა იყოს ვილაცაა: სულაც არ გავს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს.

ქერა თმიანმა თავის ბლოკნოტში რაღაც ჩაიწერა და დინჯად გააგრილა:

— როგორ უყურებთ თქვენ საკითხს დავალიანების ჯამის შემოკლების შესახებ.

— მეტის მეტად არა სასურველი საქმეა.— არ მომწონს მაგისთანა პროექტი. უმაღლესი წესიერება ვალეების გადახდის საქმეში სახელმწიფო კრედიტის საფუძველია.

ქერა თმიანის სახე უფრო მეტად გაბრწყინდა.

მინისტრი უფრო კიდევ გაანცვიფრა მისმა გახალისებამ.

— კიდევ მინდა რამოდენიმე კითხვით შეგაწუხოთ. ამბობენ, რომ ქვეყნისათვის, რომელმაც გადაიტანა მსოფლიო ომი საშინელება ძნელი უნდა იყოს ვალეების სრულიად გადახდა.

— ამას უყურეთ, როგორ დიბლომატობს. გამოღმა მიპირებს შემოადგებას! — გაიფიქრა მინისტრმა და მხიარული ღიმილით უპასუხა:

— მართალს ამბობთ, მაგრამ მდიდარი ქვეყანა ყოველთვის გამოახავს გადახდის საშუალებას.

— მართალს ბრძანებთ მინისტრო?

— კაბინეტში ხუმრობა უხერხულია.

— მაშინებას მძძვეთ თქვენი აზრი პრესაში გამოვავლიყონ?

— ჩემი კი არა, ეს მთელი საორანგეთის აზრია.



— ნეტავ რას იწერება განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. ვამგეობა ამ ცარიელ ქაღალდზე?

კორესპონდენტმა დაბლათ თავი დაუქრა და მინისტრის კაბინეტი მხიარული ღიმილით დასტოვა.

— რა ახარებს ამ ხეპრესს? — გაიფიქრა ცოტა დაქვიანებულმა მინისტრმა და მისთან შემოსულ მდივანს მიმართა:

— დაუძახეთ მეორეს!

მინისტრის კაბინეტში სახე ვამხდარი და ხუტუტა თმიანი ქაბუჯი შემოვიდა.

— ვალეების საკითხი მაინტერესებს!

— დაიწყო მან.

— ბრძანეთ!

— მე ჯერ თქვენი აზრი მინდა მოვისწინო.

— მე არ შემიძლიან დამაკმაყოფილებელი პასუხი მოგახსენოთ... თქვენ კარგათ იცნობთ ამ საკითხის სიროთულებს... ფინანსიური მდგომარეობა მეტად...

— დიას, დიას, მიჯ მაგას მოგახსენებთ, ფინანსიური მდგომარეობა მეტად... დამეთანხმეთ, რომ შეუძლებელია ომის წინაღობის დღედი ყველა ვალეების გადახდის იმედი ვიქნებოთ..

— რასაკვირველია, რასაკვირველია!

— უპასუხა მინისტრმა და სტუმრის თავაზიანი მეტყველებით გახარებულს თვალეები გაუბრწყინდა. მის სახეზედ სიხარულთან ერთათ განცვიფრები იხატებოდა.

— თუ თქვენგან სესხი არ მოვიღეთ.

— სესხს მიიღებთ ჩვენგან?

— დიას თქვენგან.

— თქვენ.. ჩვენგან.. სესხი.. ასეთი მდიდარი ქვეყანა.. რაში გვირდებათ ჩვენგან სესხის ვალეება?

— საბჭოთა კავშირის მეურნეობის, მძიმე ინდუსტრიის...

— როგორ: საბჭოთა კავშირის?!

— თქვენ საბჭოთა კავშირიდან ხართ?

— რასაკვირველია, საბჭოთა კავშირიდან. მე ვახლავარ...

მაგრამ მინისტრის აღარ ესმოდა მისი ლაპარაკი. ის ავზნე მორეტული ავადმყოფივით ცახცახებდა, ხელეები თავის საყელოში ჩაგვლო და მდივანს უყვიროდა:

— არ გაუშვათ.. გააჩერეთ.. დაიკორეთ... დააბრუნეთ ამერიკელი, გაუგებრობა მოხდა. ამერი... მე ის ბოლშევიკი მეგონა. საჯრანგეთი ამერიკის ვალეებს ვერასოდეს ვერ გადაიხდის, ბატოსახ მესაკუთრეებს არ უნდათ გადახდა. ამერი... უთხარით... დააბრუნეთ... დავიღუბე.

თმახუტუტა ქაბუჯი კი მაგიდასთან მშვილათ იჯდა და ბლოკნოტში დიდინჯებით რაღაცას სწერდა.

კიკოლიკი.

# „კ ა ლ მ ე ნ დ ა რ ი“

იყო მონასტრები, მღვიმეები, იყვნენ ბერები. ბერები, სწორედ მართიანეს, ისტორიას.

ისტორიამ კი მონასტრები თავის ბერ - მონაზნებიანა ქარს ვაატანა. ბერ - მონაზნები ჩაპარდენ ისტორიას. შეიძლება კაცი არ იყოს მონასტერში, იჯდეს მუხელში და სწორედ ისე, როგორც წინანდელი ბერები სწორდენ, მხოლოდ არა მართიანეს, არამედ უბრალო კედლის კალენდარს.

როგორც მოგვხსენებთ წინანდ ჩვენში კალონდრის გამოცემის მონაპოვია იყო ვრ. ჩარკვიანის და ახპატალოვის ხელში. ამ კალენდრებში მოთავსებული იყო ყოველგვარი მასალა, როგორც მთავალითად: სიხმრის ახსნა, ბედის სარკე და მრავალი. მხოლოდ ეს მასალა ვერ იყო სათანადოთ დამუშავებული.

კაცს მუხეუმიდან კი ვადაულახავს ყოველი სინდელნი და მდიდარი მასალებით სავსე კალენდარი შეუდგენია. იმდენი მასალები ჰყრიდა შიგ, რომ ორ დაწესებულებას „შრომა“ და „სახელგამ“-ს უქონრია ერთად გამოცემა.

რა გინდათ, იქ, რომ არ იბოვნოთ, დაწყებული რუქილის წამლიდან, გათავებული — თუ როგორ შეიძლება ქატიოდან გამოცხვენს გემრიელი და ნოყიერი მჭადი და სხ.

ყველა ცნობები დაკვირვებით და სისწორით არის შედგენილი: მაგ.: არის ასეთი ცნობა: ებრაელთა დარბევა ქ. ბელოხტოკში მოხდა 26 აპრილს 1906 წ. შემდეგ ვკითხულობთ: ებრაელთა დარბევა ბელახტოკში — 14 ივნისს 1906 წ. როგორც ვიცით, ბელოხტოკში ერთბეგა მოხდა ებრაელების დარბევა და საშინელი სისხლის ღვრა. კაცს მუხეუმიდან სულ სხვა აზრი აქვს, აღბად, როდესაც სწერს — დარბევა მოხდა 26 აპრილს და 14 ივნისს: უნდოდა მკითხველს ტვინი ეგარჯიშებია, დაფიქრებულიყო და გა-

ძოცნო 26 აპრილს მოხდა თუ 14 ივნისს.

ეს ფრიად სასარგებლო საქმეა. ეს არაფერი.

კაცს მუხეუმიდან ისიც არ გამოჰპარვია, რომ 4 მარტს 1905 წ. ჩოხატაურში ორ ჩაფარს თავს დაესხნ და სროლა აუტეხეს, არავინც არ დაჭრილა.

აღნიშნულია აგრეთვე, რომ 18 მაისს 1905 წ. მოხდა პატარა საღვურ ქვალონზე თავდასხმა; 1905 წ. 29 მაისს ხონელს და გურულს შეტაკება მოუხდათ საპარასკეობე-გურულმა თავი გაუტეხა ხონელს და მოქუსლა, ხონელს ხელში შერჩა

ცელით. კაცს მუხეუმიდან ყველა ეს წიგნები ერთად მოუთავსებია კალენდარში. ყველა გვერდზე არის აღნიშნული ვინ როდის დაიბადა და როდის გარდაიცვალა (თავის თავი დავიწყებია, მაგრამ არაფერი) კაცს მუხეუმიდან გამოუყვლიდა და ამტკიცებს, რომ შეიძლება აღამიანი ორჯერ გარდაიცვალოს. მაგ. გ. ვ. პლუხანოვი გარდაიცვალა პირველად 30 მაისს, 1918 წ., ხოლო მეორედ 5 ივნისს 1918 წ. კაცი მუხეუმიდან არ გვეუბნება 30 მაისიდან 5 ივნისამდე პლუხანოვი მკვდრეთით აღსდგა თუ რა მოუვიდა, ან რად გარდაიცვალა ხელმეო-

მაისს 30 პარასკევი



ივნისს 5 ხუთშაბათი

1918 გ. პლუხანოვის გარდაცვალება „სახელგამი“

1918 გ. პლუხანოვის გარდაცვალება „შრომა“

გ. კლუხანოვი: — ნეტავ როდის ვადვიცვალის.. რამდენჯერ ვადვიცვალე?!

მისი ბავშვობა. ერთი სიტყვით ისტორიული ცნობებით გატენილია კალენდარი.

ყველაზე მეტად ყურადღებას იპყრობს ერთი ფრიად ახალი და ღრმად დამაფიქრებელი აღმოჩენა. კაცს მუხეუმიდან გაუნძრახავს მღვდლების მაგიერობა ვასწიოს, მღვდლებს წინად ჰქნოდით მეტრიკული წიგნები და ცალკე წიგნი გარდაცვალებულთათვის, სადაც აღნიშნავდენ დაბადებულთ და გარდა-

რედ. ეგ ვსთქვათ, შესაძლებელია მაგრამ ვერ გავცივია როგორ მოხდა, რომ ჩერნიშევსკი გარდაიცვალა 10 ივნისს და დააპატიმრეს 19 ივლისს, იმავე წელს. კაცი მუხეუმიდან არ ამბობს — ჩერნიშევსკი აქ დააპატიმრეს, თუ საიქიოს. ერთი სიტყვით ასეთი მდიდარი კალენდარი ჯერ არ გავქონია, მას ისიც კი აქვს თავის კალენდარში აღნიშნული, რომ ამერიკა აღმოაჩინეს და პუშკინი თეატრში დადიოდა.

კ-ქა.

## გაბიუროკრატიებულ „ამხანაგს“

ამხანაგო, გამოცვლილხარ, სალაშიც კი გემომიგება. შემოგვცდები, თვალს მარდიმ, ეს მაკვირვებს, მეცინება


შეიძლება, შეიძინე სწავლა მეტი, ცოლან დიდი, ან და მოხვდი „თბილ ადგილზე“, ჯამაგირით შენ გამდიდრდი.

თუ ასეა — მაშინ უფრო უნდა იყო მეტი ზრდილი, უბრალო და თავმდაბალი, შეხვედრის დროს ტუბილი, რბილი.


შენ ამყობ, თავს სწევ მალლა, „ცარიელი ვით თაველი“ ცა ქულათ არ მიგანინა, ქალამანად მთა და ველი.

არც ცოდნამ და არც სიმდიდრემ, არც ალგილამ და „პორტფელმა“, შენ არ უნდა აგამჩატოს და შეგცვალოს ვერაფერმა.

სამსახური შეიფერე, მან შენ კი არ დაგამშვენოს და ნურც ფიქრობ ჯამაგირმა გავამდიდროს, აგაშენოს. ქრისტეს-ოდლი.



— რა კარგი იქნებოდა, მისა, რომ ქალაქში მიდიოდე მაგ ურმით, შემოგიჯდებოდი ურემზე.  
 — ქალაქში რა მინდა, ამბობენ — ისეთი ტალახებია ქუჩებში, რომ ურემი ვერ გაატანსო.



— შეხე ბიჭო, შეხე, რა თავაზიანი ვინმეა: ქალს გზას აძლევს.  
 — განა ვერ იცნობ ჩვენს ძიას?! ის ქალი მისი ცოლია.



# ჩვენი მსუბუქი კავალერიის თავდასხმა იუსტიციის კომისარიატში

ეს ჯაშუარობი ივანე  
ბცარძველთა იყო ამჟარი:  
თავად მინგრელსკის უმშვენი  
გლენთა რბევაში მან მხარი.



გოგი მნიკოლოკოვი,  
დამცველია ჭალარა,  
ახალ საქმეს ვერ იკარებს,  
მისი გულის ნალარა.  
ფიქრობს, როცა მის წინ ქრება  
ძველებური აღათი:  
„ამ ყოფაში კაცმა ქული  
დაიხურე და წაღი“.



— რა აზრის ხართ ამხანაგო აკა-  
კი ვეკილთა კოლექტივიზაციის შე-  
სახებ?

ბაკაკი ტყემალაძე: კოლექტი-  
ვიზაცია? შმ... კოლექტივიზაცია ძა-  
ლიან კარგი საქმეა, რომ ცული საქ-  
მე არ იყოს...

— მაშ წინააღმდეგე ხართ?

— წინააღმდეგეო?! რას ამბობ?  
მე პირველი მომხრე ვარ კოლექტი-  
ვიზაციის... დიახ, მომხრე ვარ...  
მხოლოდ არ მწამს კოლექტივიზა-  
ცია: თუმცა კი მწამს, როგორ არა  
მწამს... მაგრამ მაინც ვერ მივემ-  
ხრობი... ჭკუაში არ მივდებ... არა,  
კი მივდებ, მარა არ მომწონს... ერ-  
თი სიტყვით საუცხოველ საქმეა! გაუ-  
მარჯოს კოლექტივიზაციას!

დიდებულის — ვეკილის  
სულ სხვაა გულის ტრფიალი,  
უყვარს არშაკა ვაქართან  
ლზინი და უანწის ტრიალი.



სალაძე ზესტაფონის  
ვეკილებში ძველი,  
კულაკების ქომაგია  
და იმათი მცველი.  
„ვეკილური ეთოკა“ აქვს  
„სოლომონის“ გონი  
პრინციპები კულაკური,  
კულაკების ქონი.  
მითომ ასხამს ხოტბას მსუქნებს  
ეწვის მათთვის გული,  
რომ „კულაკში ხეირია,  
გამორჩენა, ფული“...



— რა ამბავია? ეს ბავა-ბუგი საი-  
დან არის?!

— სასამართლოს დარბაზიდან ის-  
მის! როგორ ვერ ამჩნევ?

— შამილს ხომ არ ცეკვავენ? ან  
იქნებ ფერხულია. არა, ეს სასამართ-  
ლოს დარბაზში კი არა, საკლუბო  
დარბაზიდან უნდა ისმოდეს.

— რა ცეკვა, რის შამილი ან  
კლუბს აქ რა უნდა? ცეკვა კი არა,  
ვეკილები ჩხუბობენ. ერთი მათგანი  
ლაშარამ უშრლანი უნდა იყოს,  
ალბად საქმის გარჩევის დროს ნერ-  
ვები აეშალა და მოწინააღმდეგეს  
დასცხო.

— მივეშველოთ!

— გუეი ვარ, თავი მოვაბეგეო?!  
დადექი შენთვის!..



მეზმანი კვლავ ძველებურად  
„მოუდრეკი“ ეხფერია,  
(ივვენ დვალი არ გვეგონოთ,  
დამცველია — ბოკპირია.)  
აქვს და ქნოლა  
სახლი

დახლი,  
მოსავალიც ყურძნის ბევრი,  
ერთგან დვინის მწარმოებელ  
ჯგუფის არის იგი წევრი  
მე არ მინდა  
მის შესახებ  
მკითხველები მოვაწყუნიო,  
მხოლოდ ვკითხვ:

— როგორ გახდა  
ევგენი-ჯან, კვარტი დვინო?



ავაზაკი, მკვლელები  
ლზამიჩაპამ დაიცვა,  
დაცვა „ფესზე ეკილა“,  
მონორარში ჩაიწვა.



აქ იოლუბს „ატუკანტობს“,  
ახალგაზრდა დამცველია,  
ქალიშვილებს თვალს უნაბავს,  
მათი გულის დამწველია.  
ხან მომხრეა კოლექტივის,  
ხან მომხრეთა მეომარი,  
ხან ეს არის, ხან ის არის,  
ხან წყალია, ხანაც ძმარი.

# გამომგონებლობის დათვალიერება

გამომგონებლათა დათვალიერება ჩვენს წარმოებებში დამთავრდა.

პოი, რომ იცოდეს, ტარტაროზო, რამდენი საჩანგლე ხალხი აღმოჩნდა. სანამ ამაზე ვილაპარაკებდეთ, უნდა მოგახსენოთ ერთი ახალი გამოგონებების შესახებ:

„რწ“-ის მანქანა.

ამ მანქანის საშუალებით შეიძლება მუშა - გამოგონებლების „ჩაყლაბა“; „განადგურება“.

პრემია გამოგონის ღირ - ჯერობით „ჩოხელის“ სახით მიაკუთვნა მუშელუნებმა.

შეიარე გამოგონებელი ვახლავთ ფირსადიანი. ამ დაუფასებელ „მანქანი“-ს საშუალებით სასწრაფოთ შეიძლება მუშების ყველა წინადადებების ცხოვრებაში სასწრაფოთ „გატარება“.

ორი წლის უკან ამ მანქანამ დასამარა ამა. ბელოვილის წინადადება. ჯილდოს მომავალი საწარმოო

საქარხნო თათბირი მიუძღვის. თვით საწარმოო თათბირმაც გამოიგონა „ლორიზული“.

ლორიზული არის საიქეთ, საიდანაც არც ერთი წინადადება არ ბრუნდება „ლორიზულის“ დაჯილდოვება მოხდება საჯარო გასამართლებს დროს.

—:—

გუშინწინ დავესწარი „როზა ლიტქემბურგი“-ს თამბაქოს ქარხნის საერთო კრებას.

იმდენი აქო აღმინისტრაციამ თავისი მუშაობა, რომ მსმენელებს გულის მიღწეხდა.

შეიძვერი საწარმოო თათბირის „პაპკაში“ ოა რაც ილაპარაკეს, იმის ერთი მესამედი სიმართლე ვერ აღმოვაჩინეთ.

—:—

ქალაქის სასაკლოის ჩაუარე ვხათ. ლომთათბიძის, სივრცით „პატარა“ საცხოვრებელ ბინაში, ვაფშართათ სხდომა.

ბევრი იმსჯელეს, მაგრამ შიინც ვერ გამოარჩევს, ვინ არის დამნაშავე მუშა - გამოგონი ამხ. მანუჩაროვი, „ფოქსები“, თუ „ექსპერტები“.

—:—

სასაკლოდან ბაშბის ქარხანაში გამოვიარე. შევედი, თურმე საანის ქარხანაში მოვხვდი.

მთელი ქარხანის წევრები და საწარმოო თათბირი შემადგენლობა დაძინებული დაშვდა.

თურმე იმითინი იმსჯელეს, რომ ორი კვირაა სძინავთ და ცენტრალურ გამგეობის ცდებმა — გასაღვიძებლად — უშოოვით ჩაიარა.

—:—

ასეთია ღირ - ჯერობით გამოგონებლობის დათვალიერების შედეგები.

სინდიოფალა.

## ა მ ა ლ ლ ე ბ ა

გურია

ერთხელ სოფელ ამალლებას მოვიღინა თავის შუფი, რომ ენახათ მშენებლობა და ნიცოცხლე ანაქქეფი. თემის საბჭოს თავმჯდომარეც მოიწვია ფიტცხლად კრება. რომ სირცხვილი არ ექანათ, ყველას სთხოვეს დახმარება. თავმჯდომარეც აიღოჩიეს (ღყო ჩენი მელიტანი) ძყო ფართე მოხსენება და სიტყვების „სწორო“ ტონი... წარსულ წელში შეფის ფულით. რა მოაწყვეს, რა ააგეს, — ეს სიტყვები მოსცვიოდა ორატორის „ნეტყველ ბაგეს“. თუმცე გასული მუშაობის არ იცოდა დიდი რამე, — მაგრამ ფაქტი დადასტურდა რომ ოფლს დევიდენ დედადამე. და ამრიგად ტრაბუნდანი „ნეტყველ“ დასძრა ენა, მიღწევები პროცენტულად შეფმა საბჭოს მოახსენა. დავანგრეთ ეკლესია და ვაშენებთ მით ჩვენ სკოლას. ჩენი მღაღილი ვვარ ბედავს ამისათვის ჩხუბს და ბრძოლას. აქ თეატრიც ავაშენეთ, სოფლათ არ სჩანს უკეთესი... „ოპერას“ ვდგამთ თვეში ორხელ, „დრამაც“ მიღის მასთან ექვსი... რადიო გვაქვს საუცხოო,

ხან იცინის და ხან სტირის, ჩვენს თემს მუდამ ცნობა მოსდის, ლონდონის და პალესტინის... თანაც ყოველ შაბათობით გასართობათ მოგვეყავს კინო... სამკითხველო გავაუქმეთ, შიგ დავაწყვეთ მანკის ღვინო.. გზები ყველგან შევაკეთეთ... მოტკეპნილი არის დარში, მაგრამ გირჩევთ, რომ არ ნახოთ იგი (ჯუდ დღეს ან ავდარში... მიწის მყიდველს და გამყიდველს ვიჭერთ, ვერსად გააღიქვევა, მაგრამ ასულ სხვა მოხერხებით ჩვენ ვიყიდეთ ხაში ქცევა. თქვენაც ხედავთ ჩვენს შენობებს, რომ არა აქეთ არც ერთს მინა. (ეს მიტომ, რომ ზაფხულობით გრალო იყოს სკოლის ბინა) ზამთრობით კი თუ მოწაფე სიცოვისგან აიბუზა, — მაშინ ნებადართულია მიაფარონ ფანჯრებს „ბლუზა“... გლესკომს ცეცხლი წაუკიდეს, ზედ მიაწვეს „კომპერანტი“... ჯერაც თითქმის ფართული ეს მუხთალი შავი კვანტი... საბჭოს ეხლაც ნაგრად სძინავს, არეინ უხსნის მძინარს არტახს, და ბაზარი ამალლების, ეხლა მოჰგავს უფრო პარტახს...  
ზსმან-აღა.

ბრძიდებმა ხმლისმოსუმარა

**თებეკრვლისათვის**

„მუშა“-ში და შურ. „ტარტაროზში“


# რუსული იუმორიდან

## ავადმყოფის სარეცელთან




პაციენტი — გარდაიცვალა?  
 ავადმყოფი — არა! ჯერ ცოცხალი ვარ!  
 ცოლი (ავადმყოფის) — დაჩუმდი შე სულელი ექიმმა შენზე უფრო უკეთ არ იცის?

## ლოლიკა (ქალი და კაცის თავი)



— მიკვირს, ეგრე კარგა როგორ აწერ ღვინოზე და ქეიფზე, როცა თქვენ ერთ წვეთ ღვინოს არა სვამთ და არც ქეიფობთ!  
 — მერე რა უყოთ, ვინც ერბოკვერცხს სჭამს იმან კვერცხებიც უნდა დასდვას?

სიყვარლის მემბრანები (ორი კაცი).  
 — კაცო მართლა ურივი გიორგის სასამართლოში?  
 — შო-და!  
 — რატომ?  
 — მე იმან სულელი დამოძახა!  
 — მერე მეც ხომ ყოველ დღე გეკახი?  
 — შენ სულ სხვა ხარ! შენ ბავშვობიდანვე მიცნობ!



## არ დაუფასოს

— ეჰ, მთელი ჩემი სიცოცხლე იატაკ ქვეშ ვმუშაობ და კიდევ ნაფაბებს მოგებენ!



— სოციალისტურ შეჯიბრში რატომ გამოიწვიეთ ასეთი სუსტი ქარხანა?  
 — თავის შეწუხება რომ არ მოგვიწიოს, იმიტომ!

## გადნიერი დღე



— რატომ ასე მხიარულად ხართ დღეს?  
 — რატომ არ ვიქნები დღეს ჩემი ანგელოზის დღეობაა, და პარტწმენდაც მშვიდლობიანად გავიარე.



— ის რა დაწინაურებული მუშაა, გალბტუკს ატარებს!

## ბუკინისტთან



— ეს რა არის! ამ წიგნს კარგა ოცგვერდამდე აკლია!  
 — რა უშავს უფრო მაღე წაიკი-თხავ!

### პეტრე და ისიდორე ძირულა

— პეტრე, წელს პორი თუ გითე-  
სია, რა ქნა, ამევიდა თუ არა?

— ნულა იკითხავ, ჩემო ისიდორე,  
თუ იმერეთის გახრევილ გორაკებზე  
ჯაჯილს დაეინახავდი. პაწია თუ მა-  
რჯვეთ ვიქნებოდა, ქართლ-კახეთი  
ველარ დაქაინებდა.

— ცოტა მეც კი მითესია, მარა  
შენი არ იყოს, ერთობ კაი ბირი  
უჩანს. დეიქცა ჩვენნი ბანკის თავ-  
მჯდომარის ოჯახი, ხორბალი სამი  
ფუთი მეტი არ მომცა, თორემ პაწია  
ბლომათ რომ მეცცა, ავშენდებოდათ  
კაცი. ბევრი ვეხვეწი, ბევრი ვემუღა-  
რე: კიდე დაძიმებ, ვთვსავ, ხო არ  
ეჭამ-მითქი, მარა არ შეგეჭამოს მი-  
წამ, ტყვილა არ შეაპანტურა.

— აგრეა, ჩემო ძმაო, ვინც ნამ-  
დვილი მუშაა და ნამდვილად სთე-  
სავს, მას არ მიეცა. გრიშა ებანოძის  
კი, რომელსაც მისდღემში თოხისა-  
თვის ხელი არ მოუკიდნია, ადგა ჩვე-  
ნი ბანკის თავმჯდომარე (გლბად კა-  
რგი ნაცნობი იყო და რამე სარგებ-  
ლობა ექნებოდა) და თუთხმეტი ფუ-  
თი ხორბალი სათესლე წისიათ მის-  
ცა.

— ისე აუშენდა ოჯახი, რაც  
გრიშა იმას არ დათესდა.

— აგერ არ გითხრა, იცო. ეს მუ-  
ჭთად ნაშოზნი ხორბალი დაფქვა და  
ზესტაფონში სულ ცამეტ-ცამეტ მა-  
ნეთად გაყიდა. ის ამბავი ქე იციან,  
მარა არაფერი. ეხლა ის ყმაწვილი  
გაიძახის: „რაც არაფერი მექნება, რა

ჩემ ფეხებს გადამახდევინებენო.

— უნდა გამოვიტყდი. რომ ბანკია  
თუ რაღაც ჯანდაბაა, ღარიბებს არა-  
ფერ დახმარებას არ უწყევს.

აგერ იქით წინაზე სესხათ ფული  
ვითხოვე, მაგრამ გაუგონია. ერთმა-  
ნეთს გადაუჩურჩულეს: „იი ძლიერ  
ღარიბია, ვალს ვერ გადაიხდის და  
ფულის ამოიბაზე ისევე ჩიონ დაგ-  
ვირდება ხლოფორთი ის დავიდარა-  
ბაო. მე სამი თუმანი არ მასესხეს და  
მდიდრობს კი ოც-ოცდა ათ თუმანს  
ამლევიანო.

— მეც მაგაზე არ მტკივა გული.  
ჩემმა შვიონა ათასნაირი კურსები  
გაათავა. ბანკის თავმჯდომარეს ებ-  
ვეწებოდა: სამსახურზე ადგილი თუ  
აღმოჩნდეს, მე დამაყენეო, გამოჩდა  
ადგილი თუ არა, ჩემს შვილს ვინდა  
დოუძახა. ხეოათ სამსახურზე დანიშ-  
ნეს ყოფილი მიკიტანი გველესიანი.  
ეს არი კანონიერი? ღარიბი კაცის  
შვილი უადგილოდ უნდა დაეხეტე-  
ზოდეს და ვილაც გაბღენკილი ნამი-  
კიტნარი, რომელიც ამ მთავრობას  
ცოლსა და დიდას აგინებდა დუქნის  
დალუქვისათვის, სამსახურში უნდა  
წამოსკუპდის? არა შენი ქირიმე, ეს  
ყველაფერი უკანონოა. უსათუოდ  
უნდა მოვნახოთ ის ვილაც ძირულე-  
ლი თაღა ტარტაროზში, რომ წე-  
რავს ხოლმე: ტოჩი-ტოჩ უნდა ჩამო-  
უკაკლო ყველაფერი და გავაწერიო.  
მერე ნახონ მაგათმა თავის სეირი.

ძირულელი თაღა.

### ძმური „მისალმება“

ერთ მშვენეირ დღეს სად. ხაშური-  
საკენ მიემგზავრებოდა ლიხის უფ.  
მუშა ვასო.

მას ვზაში შეხვდა თავისი ძმა კო-  
ლა.

— როგორ დაღონებული მოღიხარ,  
ბიჭო ვასო?— შეეკითხა მას კოლა.

— კომუჯრედის კრებაზე ვიყავ, გა-  
ნცხადება მივიტანე, პარტიაში მიწლო  
და ჩავწერილიყავ, მაგრამ ვილაცას  
ჩემი ძველი მოქმედება გაუგავი და  
ყველა დაწერილებით შეუტანია ბი-  
უროს სხდომაზე.

— რა ამბავი გაუგავი, ბიჭო?— შეე-  
კითხა კოლა.

— რა ამბავი და მე და შენ რომ  
ოსეთის ძარცვა-გლეჯაში ვღებულ-  
ბდით მონაწილეობას. ძველი გვარდი-

ელი არის. გლეხებს უდიერად ეპყ-  
რობოდაო, ბაკურიანის შემნახველ სა  
ღაროს ფული შეჭამაო; მუშკორების  
მღვენელიაო, მუშებს ლანძღვა-გინე-  
ბით ისტუმრებდო.

— მერე და იმ ოჯახდასაქცევს ვინ  
მისცა ამდენი ცნობები შენზე?

— რა ვიცი, ალბად მიყურებდა ვი-  
ნმე, მაგრამ ეს რაფერიო; უპარტიო-  
დის არა მიშავს, მარა ეხლა მეტი უბე-  
დურება მეწვეა.

ლიხის მშვენეირ კომისიაში აურჩე-  
ვით მუშა-ნიკო კიკაძე, რომელმაც  
იცის რაც გამიკეთებია სოფლად, რა  
გლახა დროს მომისწრო ამ უბედურე-  
ბამ!— არტელის უფროსად ვაპირებდი  
გასვლას.

წევრი № 28.

### ჭიათურა პრობლემა

ჩემს ყურადღებას იქცევდა  
სასამართლოში ვექილი;  
ბიჭი-ყოჩალი, ჯეგელი,  
გამოცდილ-გამოქექილი.  
ტელეფონს ჩაურაწყუნა,  
რა ვქნა, არ გამაგონაო;  
ტელეფონისტა ქალებმა  
მოიძვლა და დამალოხაო.

ბოლოს აგონებს სადგური,  
მონახა ადრესატიცა:

„აბა გვიშველე ზოტინე,  
როგორც აქამდის აწიცა.

პროკურორს იცნობ თუ არა,  
ებრაედისე გვარადა?  
იმის ლითვის იარ ნახავ  
იარო მთა და ბარადა.

იმანა გთხოვია, ზოტინე,  
აბა რათ გინდა ფიცით,—

რომ სამი მეტრო მომეცი,  
თუ მძა ხარ შენ რომ იციო.

როგორც მუშკოპის გამგესა  
თქვინ ეს არ გაგიკირდებათ,  
უნითო— იოჰია: ამისთვის

სამაგიეროს გპირდებათ,—

მაგრამ ამა იროს ზოტინე  
ალბად დასთანხმდა: კარგიო,  
რაოინაც მოოამ გპირდება

იუსტიციის დარგიო.

ვექილმა მადლობის შემდეგ,  
კლირტებს ჩამოუარა.

ვინ იცის მართლა პროკურორს  
უნდოდა რამე თუ არა?

ლ—ზი.

### მღვდელი დავიძე

მღვდელი იყო მონასტერში  
ცბიერი და გაიძვირა.

ლეთის მსახურმა მეტის მეტად  
ანაფორა დაიგრძელო.

მართალია, ლოცავს, წირავს,  
ცეცხლის ალი გულს ეღება;

მონაზვნების სილაპაზით  
სანთელსავით დნება, ჭრება.

წირვის შემდეგ დაჰპატიჟა,  
მან ლამაზი ერთი ქალი,

მისი ეშხით თვალთმაქცობით  
ეს ხოჯესი იყო მთვრალი.

ჰკადრა: „ჩემო მშვენეირო,  
შენ ხარ ჩემი უკვდავება,

სულ შენზეა ჩემი ფიქრი,  
შენი სახე გულში მრჩება.

ხელი ხელებს ჩაეჭიდა,  
გაიმართა ხვევნა, კოცნა,

და ტრაპეზში გაიშლართა  
ლეთის მსახური ორი მონა.

ქრისტეს, ნინოს, მარიამსა  
ყველას გული აუთრთაოდა;

გაიხსენეს თვის წარსული,  
ისიც თუ რა საჭმე მოხდა.

ფარ—ნი

# რეალიზ

# სასამართლოში

### ჩვეულება

სადგ. გურჯაანი. სოკრატსა და მიშას უყვართ ღვინის ყლაპი; (რკინის გზელები არიან და არა ტყემლის ტყლაპი). გააცოცეს ბოქვით ღვინო, — ვინ გაგვიგებს, ვინო?! შეზარხოშდეს და დაუკრეს მოპარული გიტარაო; შემოსძახეს: „სულო, გულო, კიდეც ხომ არ გინდა რაო?“

კალა.

### დაპარგვა

სურამი. დაიკარგა აგრონომი, მას დაეძებს აღმასკომი. ყურს არ უგდებს დროზე თესვას, ურჩევნია — ღვინო შესვას. მამონტელს ვსთხოვეთ — არ გამოგვიგზავნოს, მოსვლით საქმეს რომ არ აგნოს.

### გაქაფვა

იქიდანვე. სოციალდევების აგენტებმა ფულს აღიანეს ოფლი, ქაფი, შეაგროვეს და იმ ფულს პირში უქნეს ყლაპი სწრაფი.

„ტიფრი“.

### წინასწარი მიზანი

დიდი კუხი, (კრუხი არ გვეგონოთ) (ქუთაისის ოლქი. დასრულდა სამკითხველს შენობა დიდი დავი-დარებით. იკეტება -იღება იგი დუქნის დარბაზით. ასეთი პლანი კარგაო, ყველაფერში გვარგაო; სამიკიტნოთ გამოგვაღებოთ, ადვილად გადაკეთდებაო.

### იუმვიათი ვამთხვავა

ხონი. (ძაღ-საღები ქარხანა). გუშინ დათიკო ჯანგაფაძე პირველ საათზე მოვიდა სამსახურში; მუშები ერთმანეთს უჩურჩულებდნენ ყურში: „რად მოვიდა ზოგს ასე ადრე“?... მაგრამ მე დათიკოს შეკითხვა ვერ ვკადრე, რადგან მოუშა - ქალებს უბღვევრდა ის თვალებს. ქარხნელი.

### იხვე თავაღობს


გურნა (ქუთ. ოლქი). აფთიაქის გამვე მეტის - მეტად ნაზობს. სიტყვას არ კადრულობს, გული მოსდის, ბრაზობს. ამაკუნებს ფეხებს და უყვირის გოჭებს. ძველი ბარათა-შვილია, თქვენც მიხედვით რაც შვილია.

ა. დიმელი.

### ხანგრძლივი სიკვდილი

სურამი. გარდაიცვალა სამიკიტნოები „სურამის ციხე“ და „უღელტეხილი“, რომლებიდანაც ხშირად გამოდიოდნენ თავ - პირ გატეხილი. ეგოს გამეგობამ ბევრი ცრემლი ჰდგარა, ფულიც დააყარა, მაგრამ ვერაფერს გახდა და ჩვენი სურვილი ახდა.

„ტიფრი“.



— ასეთ პატარა საქმეზე ორი თვეა დავდივარ!  
— ჩვენ სხვებსავით ზერელეთ კი არ ვირკვეთ საქმეს... წელიწადი გაგრძელდება, მერე რა ვუყოთ!

### ხუმრობა

სადგ. გურჯაანი. ვაშაკიძეს წაეჩხუბა ელმწერალ ნინა. სადგ. მორიგეც ვაქაცია, და დაუღა წინა. ქალს ნერვები აეშალა, და სახეში გაუშალა. მოუქნია ვაშაკიძეს, იქვე მდგომი სკაში და სკაშს უფროსის თავზე მიატყდა ფეხი სამი. ხშირი არის აქ ასეთი ჩხუბი შფოთი, პირველი კუდაბზიკა და მეორე ლოთი. „წიკი“.

### იღვლიანი კაცი

სუფსა. დიომინდემ ნიგვზიანში გაფლანგა სიმინდი და ორი ჯოჯო, (ლიახ, ჯოჯო; არ გვეგონოთ თქვენ ეს ქორო). მაგრამ ეხლაც თავს გრძნობს კარგად, (საქმეს აწვეს ზედმეტ ბარვად).

პრიკ.

### ახალი მკლავამ

ფოთი. (ნავთსადგური) სახანძრო რაზმის უფროსი ბავრატა დათერა მაგრათა, ღვინისაგან თავში გაუჩნდა ხანძარი. შეირყა მთელი ბაზარი. ვაქაციაბა დაიჩემა და გამვლელებს ყველას სცემა.

(ლუზა).

### ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა

— რამდენი წლის იქნებით? ავრე ახალგაზრდა ხართ და ხელისმოსაწერად მოსულხართ ზაქსში? —

— მეთვრამეტეში გადავდექი და ოთხი ქმრის გამოცვლა მოვაწარი ჯერ-ჯერობით.

— როდის ჩამოხვედი, მამაო ნიკიფორე, სოფლიდან? — მალე დაბრუნდები?

— რალა დასაბრუნებელი პირი მაქვს, შვილო, გლეხობამ გამამაძევა სოფლიდან. შვილს მოვაშურე იქნებ შემიანახოს მეთქი, მაგრამ ისიც ქე გამოურისტათე ავრე ახლა დამცველთა კოლეგიიდან.

— რას იტყვი თქვენი გამგის შესახებ?

— მეტის-მეტად სიმპატიურია. მისი ალერსი სულ მავიწყებს ხოლმე ჩემ ქმარს.

ახალგაზრდა მხატვართა  
ქ მ ნ კ უ რ ს ი  
გაგრძელებულია 15 თებერვალამდე

# სცენა სასადილოში

ა.კ. რკ. გზ. სატილი: ოს ხე-ტყის ქარხანაში

1-ლი მუშა: — ახ, თფუუ...

მე-2 მუშა: — რა დაგემართა, კაცი?

მე-3 მუშა: — ე, ბიჭო, რაცხა კიდეც ნახა მაგ ოხერმა ხარხოში და ხომ დაგვატივებია დღეს სადილი.

1-ლი მუშა: (სასადილოს გამგეს): შენი ოჯახი დიქუცა დიომიდე ქანდაკია, რავე გოტყავებელ საქონლის ხორცს გვაქმევ, ბურღლას მიანიც მოაცილებდი და ტყავს ქე დაგლეჯდა კაცი... ახ, თფუუუ.

სასადილოს გამგე: თუ რავე ნახე, გადაეგდებდი, შე კაციო. მაგინა რა გაყვირებს? არაფერია, მუშები ყველაფერს გაუძლებენ.

მე-2 მუშა: ავიშენდა კარაბადინი.

1-ლი მუშა: ახ თფუუუ... თქვენნი რჯული დალანჯული.

მე-2 მ.: მართლა რა ამბავია ამდენი სიბინძურე! წელან ერთ ლუკმაზე ოთხი ბუზი და თორმეტი ტარაკანი ჩამყვა მუცელში.

გამგე: რა გაწუხებს მერე, ბიძია? ხომ გაძენი, ხეირია, მეორეს მოთხოვა არ დაგვირდება.

მე-4 მუშა: გამგეს კითხავ, გიბასუხებს: მზარეულის ბრალიაო, მზარეული ხორცის მომწოდებელიაო— გეტყვის, ხორცის მომწოდებელი დანიელ თელია, ბურღლას კი არა, მგონი, თუ მოახერხა, ქალის სილასაც ზედ დაწონის, ნუ გემინია ერთბაშით ქარხნის ექიმი და ადგილკომი არ შემოვიდეს და არ გასინჯოს ყველაფერი.

მე-2 მუშა: ბიძია, რავე ტყუილა ილლი ენას, დიომიდე ქანდარია მგონი მეოცე გამგეა და რავე ფიქრობ, მაგი სხვაზე უკეთესი იქნებოდა თუ? თუ ვინმე გახუნებული კაცი, ყველა მოდის.

მე-2 მუშა: რაცხა ისთე ამერია მუცელი, რომ მგონი შიგ ბუზები და ტარაკანები ჩხუბობენ.

1-ლი მუშა: გარედ გაასწარი, კაცი, აქანე ვაის, უი კიდევ არ დაამატო!

მე-3 მუშა: ამ ლაი-ლაის თავი გაანებეთ და მიხედეთ რაცხა გვაქვს წინ, ისიც არ წაგვართვას ძაღლებმა. კრიკინა.

## „უსინდისობა“

ყველაფერი შესაძლებელი მეგონა. ყველაფერი მინახავს: ხოსტაური-ღანა დღემდე ყველაფერი მომიგონია. ქალაქი ტფილისიც მინახავს, მაგრამ ის კი არ მინახავს, რომ კაცი თავის „სიგლახს“—ა და „უსინდისობას“ იტყვიოდეს.

ნუ თუ „უსინდისობა“ არ არის ის, რომ იკლიანე მარკოზია ძველ ხურჯინივით ჩამოეკიდება მასწავლებლობას ჯამაგირის მიღების დროს და სასადილოსკენ მიათრევს? (თავის ხარჯზე ქეიფის წინააღმდეგია).

ჰო-და,—ასეთმა კაცმა დამპატიყა და 5 მანეთი დამახარჯა, რომ ლოთობისათვის ის გაზეთში არ გამეწერა. თანაც მთხოვა: —შენი პატივისცემა ჩემზედ იყოს, თუ შენ თავიანთებს რომელიმე გაზეთში გასწერავ, რადგან მან „ტარტაროში“ ჩამავლოო...

მე ავიღე და თითონ მარკოზია გავწერე გაზეთში.

განა „უსინდისობა“ არ არის ის, რომ ასრიევი და პეტრიავი „უბატონოდ“ ხმას არ მცემენ წმინდაზე — „ატელი“ არ დამირტყასო. მე კი უშველებელი წერილი გამოვაშტეკინე წმინდის წინ კვლის გაზეთში, მათ დეზერტირობასა და დაუღერობაზე.

განა „უსინდისობა“ არ არის ის, რომ ერვანდ ამირხანდგულიანი ჩემს პატრონს ცემას გადაყვა. ისეთი დახსიათება მომცა, რომ ქვას გააპობდა, გამომიყვანა — თითქოს სოციალიზმი დამეძარბინოს ალბულახში. მე კი სამაგიეროდ გაზეთში გავაქრეულე.

განა ათჯერ „უსინდისობა“ არ არის ის, რომ დღეში მოსვლისას, ზოდესაც „მსუბუქი კავალისტი“ გავხდი, მიკიტებმა დამპატყეს და დარბაზობა გამიმართეს იმისათვის, რომ არ დამესვა წითელი სასადილოს გახსნის საკითხი. მე კი მეორე დღესვე კიდლის გაზეთში გავაქრეულე და აღმასკომმავე შეიტანა გეგმაში წითელი სასადილოს გახსნა.

განა „უსინდისობა“ არ არის ის, რომ რაიკომის მდივანი ხაძაგლიშვილი და მილიციის უფროსი დათრობისა და სროლისათვის კვლის გაზეთში გავწერე, რისთვისაც ორთავეს „ნიშადური“ ამოსცხეს.

განა „უსინდისობა“ არ იქნება ის, რომ საბავშო ახალშენის გამგე, ათწილდის პრიოდ. სკოლის საბავშო და რაისკოლების გამგე, რომლის ჯამაგირი 10 უწყებაში სწერია და მართო ახალშენის გამგეობისათვის სულ რაღაც ორას ორმოცდა ათ მანეთს იღებს და სხვა გამგეობიდან კიდევ სხვას, — გაზეთებში გავწერო? განა ეს „უსინდისობა“ არ არის, რომ... მაგრამ სჯობია გაჩუმდე, რადგან დაწერილ წერილში რაღაც ორი კანკივი ავიღე და მან კი 100 მანეთიანი ადგილი დამაპარგინა და 40 მანეთიანი ადგილზე ჩამომიყვანა თუ კიდევ რამე ისტეკი, ალბად, ვიღაცა 25 მანეთიანი ადგილზე გადამიყვანს.

## „კატა და თავი“

(მიზამდა)

ქიან - ტრესტის თანამშრომლებს გაემართათ ერთხელ ბჭობა. ვინ გინდათ, რომ იქ არ იყო; — მმართველი და მმა-ბიჭობა: მოადგილე, საქ-მმართველი, ბუქსალტერი და აღმსტატი...

რაღა ბევრი გავაგრძელო, იყო თითქმის მთელი შტატი... „ხე წამოღვა საქ-მმართველი, სკამმა იწყო ქაქა-ქუქი; მოხსენება წამოაწყო, რა ქიქით წყალს უქნა ყლოურწი: — ქიან - ტრესტში მყოზობა, ქიანურზე აწყობილი, პაწა საქმეს თვე სქირდება, ჩვენ ისე გვაქვს მოწყობილი.

და ეს წყება, თუ თან წყობა ამ ჩვენ შრომას ამსუბუქებს, მაგრამ ვიცი, რომ კის რისხვა ბოლოს ჩვენს თავს დაიქუხებს: ხან პარტ - წმენდა, ხან აწმენდა, (ო, დიდება ღმერთო შენდა). ამდენ წმენდას ვინ დაუძვრეს... ლამის შიშით თავი წამძვრეს.

„მსუბუქი კაიალგრა“ ნაომებივით ყველგან სკდება... გამოგვაკლეს ო, რამდენი, და თხელდება ჩვენი წყება. დაძვრებიან კატებივით, თავზე დაგვეს შიშის ზარი. რომ ზიანი კვლავ არ გვყოფნ, ყელს შევეუბათ უნდა ზარი — რომ თავდასხმა მათი ჩვენზე ჩვენ შევიტყოთ ზარის ხმაზე.. დაამთავრა მოხსენება.

დაუშინა ყოვლამ ტაში, კვლავ დაწყნარდენ, რომ მართველი, გაიქიმა სხომის თავში: —ჩვენ საქ-მართველს, დიტყვი მართალს, ქი ჰქონია ჰკუთ თავში“.

აქ შიკრიკმა ჩაიკინა: — ისე მსჯელობთ, როგორც ბავშვი, „კავალისტს“ კისრზე ზარს ვინ შეაბამს თქვენგანი? — ..მიმაღენ ფართხა-ფურთხით, ყველამ ონა საქმეს ვანი.

ბახჩო.

ნეთს იღებს და სხვა გამგეობიდან კიდევ სხვას, — გაზეთებში გავწერო? განა ეს „უსინდისობა“ არ არის, რომ... მაგრამ სჯობია გაჩუმდე, რადგან დაწერილ წერილში რაღაც ორი კანკივი ავიღე და მან კი 100 მანეთიანი ადგილი დამაპარგინა და 40 მანეთიანი ადგილზე ჩამომიყვანა თუ კიდევ რამე ისტეკი, ალბად, ვიღაცა 25 მანეთიანი ადგილზე გადამიყვანს.

ტინტარავა.

# ფორმალურად

ჯარიმა, როგორც არ უნდა იყოს, ქირივით მეზარება.

ყოველთვის გაურბივარ ასეთებს. ამას წინად დეპეშა მივიღე სოფლიდან. ცოლის გარდაცვალებას მატყობინებდნენ.

უნდა სიმართლე ვითხრა, დიდათ არ მწყენია მისი სიკვდილი. მოგებხენებთ, თუ კაცს ცოტა საპასუხისგებო ადგილი გიკავია, თუ უცოლო ხარ, უფრო მეტი დაფასება გაქვს ბანოვანებში.

ავიღე შვებულება და გავსწიე საღურისაკებ.

აღრე მომიხდა მისვლა და რომ ტყვილა ჯდომით დრო არ დამეკარგა, ვიწყე კედლებზე გაკრული სხვადასხვა რეკლამებისა და განახლებების კითხვა.

„ნამწვავებს იატაკზე ნუ დაჰყრიან.. ჯარიმა 2 მანეთი“ — ლილადებდა განცხადება.

წაკითხვა და სანაგვე ყუთისაკენ გაქცევა პაპიროსის ნამწვავის ჩასადებათ ერთი ვქენი. მე მეგონა ყოველი მოქალაქე ასე იქცეოდა, მაგრამ დარბაზი სავსე იყო ყოველგვარ „დასაჯარიმებელ ნივთიერებებით“. წესიერების დამცველებიც ხედავდნენ, რომ მოქალაქეები უხვად სთესავდნენ იატაკზე სიბინძურეს, მაგრამ ხმასაც არ „იმაღლებდნენ“. საღურებში კი იყინებოდნენ განცხადებები, რომლებიც ხან და ხან კიდევ წამოიძახებდნენ: „აფხუს ფულდებო, რა ტყუილუმბრალოდ დაიხარჯეთ ჩვენ დაბეჭოიანო“

მეორე დღეს საღამოს ჩავედი სოფელში.

ცოლი დასაფლავებული დამიხედა. დაუწყე ყვირილი იქ მყოფთ: რატომ არ დამიცადეთ, ან რა უფლება გქონდათ ჩემი საყვარელი ცოლი ჩემ დაუსწრებლად დაგემარხათ-თქმ.

სიმამრმა კინალამ კეტი დამკრა თავში.

— თუ ასე გიყვარდა მთელი წლობითაც არ მივებტოვებდიო. ისე ლოდინით მთელი კვირა გელოდით და რომ აღარ დაადგა შენ ჩამოსვლას საშველი, დავასაფლავეთო.

დავხედე დეპეშას. აღმოჩნდა: დეპეშა ერთი კვირის დაგვიანებით მივიღე.

რადგან სხვა არაფერი იყო დასამარხი, იმ დღესვე გამოვბრუნდი ტფილისისაკენ. კირილე საფინჯიელი.



ფუტბარს (ძიმითი, გურია). როცა ჩვენ შევეკითხეთ თქვენს გლეხკომს,

რომელიც მიძინებულა ხალათს ძილით ტყილათა; რაც ესიზმრება ყოველდღამ აღარც კი ახსოვს დილითა, — ასეთი პასუხი მოგვცა ჩვენს შეკითხვაზე: — მაშ ტყვილათ ჰქვია ჩვენს სოფელს „ძიმითიო“.

მასალა უფრო კარგად დამუშავეთ და მოგაწოდეთ.

ბრ. თამ-ძმს (აქვე). როცა თქვენი „მღვდელი და თხა“-ს კითხვა დაეწიყეთ და წავიკითხეთ: ერთხელ მღვდელმა თავის ვაცს დაიჭირა, ხელი სტაცა; ზურგზე მყისვე შეასკუპდა—

ვაცმა სწრაფად გაიტაცა, — თქვენი ლექსიც თან გაჰყვა მათ სარედაქციო გოდრისაკენ. (მგონი თქვენს გარდა ენლა სხვებს აღარავის ახსოვს მღვდელი).

ბბას (აქვე). ჩვენ არ უარყვოფთ, რომ თქვენი ლექსი სასაცილოა და ამიტომაც ვბეჭდეთ:

ხშირია, როცა ფიქრი ოხერი ავედვენება კაცსა ბოროტად; ხშირია, როცა ფიქრი წყუული დგალდენინებს ღვინოს კვარტებიო. (ენლა ლიტრებით!).

ცხტა-ვალას (სოფ. ხუნჭულა-ური, სამტრედიის რაიონი). თქვენი გამოცანა ასე იწყება:

ორშაბათ დილა გათენდა რა კარგი დარი დგებო... მარა, შე კაი კაცო, კარგ დარგში ასე-

თი ცული ლექსის დაწერისათვის ცდები? გამოცანებითა და ქარაგმებით წერას თავი გაანებეთ. სთქვით, აშკარათ. მასალები მოგაწოდეთ.

ხრნელ უჩინარს. თქვენ გგონიათ — ამირიკა აღმოაჩინეთ თუ ბოქორიშვილის ქუჩაზე ჩარჩი სარქისოვი ცოლაოთურთ:

კვრცხვებს ჰყიდის ლაქეს სალად, კითხვა უნდა ამას რაღათ!

გზადიპაშვილს (სამტრედია), ჩვენ ვერ მოგვატყუილებთ, თითქოს თქვენ „ულმერთოთა კავშირი“-ს წევრი იყოთ.

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

## ველისციხისათვის

ფოხტის დამტარებელი ნახო სიზმარში — ცუდია, გახუთების მიღებას ვერ ვიორსებო.

კინო - სურათი ნახო სიზმარში — ცუდია, მოხსენშის ვაკეთების დროს აზრები წარა - მარა გაგიწყლება კინო - ლენტეგით.

პროკოფი ნახო სიზმარში — ცუდია, ბნელაში კსერს მოიტეხ

„მსუბუქი კავალერია“ ნახო სიზმარში — თავდასხმას ვერ ასცდები. დანადგო

პირველად ქალაქის კლუბს ვადავხედოთ ერთი.

მ ბოლო დროს დრამ - წრის წევრებს მთლად გაუწყრათ მღვრთი.

(ენლა რას იტყვიო?).

სამტრედი. სპლამს. (ერწო - სამტრედი). შეგვატყობინეთ, თუ რას შერება ადგილობრივი ადმინისტრაციო, როცა:

რომ დათვრება რესტორანსა შამთარაძე შალვა,

გინებით და ჩსუბით უყვარს მახ ქუჩაში გავლა.

ხმსსურიშვილს (ერწო). სოფლის მაგიერ, თქვენმა წეროლმა პირი გოდრისაკენ ჰქნა.

ბ. მმდბარძიძეს (ტყიბულის მაღარო). გეწერთ სასადილოში უსუფთაობას შესახებ და დასძენთ, რომ:

ეს კიდევ არაფერია... კერძი მომართვეს რავარი?! შიგ იყო: ძვლები, ჯგონები

მუხის ნაპოზი, ყავარი... და კიდევ საყვედურობო, რომ ძვირი ვაღამაბდევინესო? აშლენი „სიკეთე“ ყოფილა შიგ და, მაშ რა ექნათ?

„ფუტბარის კანონს“ (ბათომი). მიუხედავად იმისა, რომ თქვენი შემოქმედება:

იყო ის მოყვარულ... დიდ კაცებთან ლაქლაქის; მტკვან გულით დაჰქონდა

დარდი ჩერვინცების, — ქეშ-მარიტად ნამდვილი ფუტბურისტულია, ჩვენ მაინც ვერ დავბეჭდავთ.

# ხავსმოქიდებულნი

მრავალ ადგილებში კულო-  
კები სცდილობენ კოლექტი-  
ვი გაძრომას.  
გაზეთებიდან.



საქართველოს  
ბიბლიოთეკა-მუზეუმი  
Библиотека-Музей  
имени  
Лавр. И. Гришашвили